სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტო

I ხეივნის ქუჩის დასაწყისი
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 2 948 014
office@gcaa.ge

26 იანვარი 2024

N 05/194

შპს „იბერია ლოჯისტიკა“-ს
დირექტორს
ბატონ ლევან ჯიქიას

ასლი: შპს „ტავ ურბან საქართველოს“

ბატონო ლევან,

თქვენი, 2024 წლის 16 იანვრის განცხადების (რეგ. #125/01) პასუხად, რომელიც ეხება თბილისის აეროდრომის დაცვის არეში მდებარე მიწის ნაკვეთზე ს/კ: 01.19.18.003.158 დაგეგმილი სასაწყობო შენობის მშენებლობას, გაცნობებთ, რომ თქვენი მხრიდან წარმოდგენილ მონაცემებზე დაყრდნობით, ასევე, სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2022 წლის 18 მაისის #111 ბრძანებით დამტკიცებული „სამოქალაქო აეროდრომის რაიონის დადგენისა და ამ რაიონში ობიექტის დასაშვები სიმაღლის განსაზღვრის წესი“-ს მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, მიწის დონიდან (ნიშნული EGM96 სისტემაში - 515,9 მ) დასაშვებია 15 მეტრის სიმაღლის ობიექტის განთავსება, რომლის აბსოლუტური სიმაღლე საშუალო ზღვის დონიდან EGM96 სისტემაში არ უნდა აღემატებოდეს 530,9 მეტრს.

პატივისცემით,

გივი დავითაშვილი

დირექტორი

ხელმძღვანელობა